საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2020 წლის 26 ივნისი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №127/18

მოსამართლე --- --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- --- 2018 წლის 07 მაისის №--- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 12 სექტემბრის №127/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი საუბრობს მოსამართლე --- --- მხრიდან დისციპლინურ დარღვევებზე, რასთან დაკავშირებითაც საჩივარში მიუთითებს შემდეგ ფაქტებს:

- საქმის განხილვის გაჭიანურება;
- 2018 წლის 12 მარტის სხდომაზე --- ---დააყენა შუამდგომლობა საქმეში მოპასუხედ ჩართული --- --- ჩამოცილების შესახებ, რა დროსაც შუამდგომლობა არ ყოფილა დაყენებული წერილობითი სახით, როგორც ამას საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რაზეც მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა;
- მოსამართლესთან შეთანხმდა, რომ --- ---მოთხოვნაზე დასაბუთებულ მოსაზრების წარადგენდა 2018 წლის 23 მარტამდე, რასაც მოსამართლე შემდგომ გაუგზავნიდა მხარეებს და ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა განჩინებას --- --- უფლებამონაცვლის ჩართვის შესახებ, რაც მოსამართლემ არ შეასრულა, კერძოდ, მხარეებს არ გაუგზავნა 2018 წლის 22 მარტს წარდგენილი მოსაზრება და არ მიიღო განჩინება;
- საჩივრის ავტორი უთითებს 2017 წლის 27 ნოემბრის პროცესზე, როდესაც მოსამართლემ დააკმაყოფილა --- --- მტკიცებულებით გაუმყარებელი განცხადება საქმის გადადების თაობაზე, იმ არგუმენტით, რომ იგივე დღეს 11 საათზე ჰქონდა პროცესი;
- საჩივრის ავტორის თქმით, მისი ქონების დაზიანების საკითხზე, საქმეს განიხილავდა მოსამართლე --- ---, რაზე მიღებული უკანონო გადაწყვეტილებაც შესულია კანონიერ ძალაში (№3ბ/71-15, 29/07/2015). ამჟამად მოსამართლე --- --- იხილავს საქმეს, რომელიც შეეხება მის ქონებაზე ზიანის

მიყენების საკითხს, სადაც მესამე პირად ჩართულია --- ---, რომლის დარღვევით წარმოებულ მშენებლობის და დაჯარიმების საკითხს იხილავდა მოსამართლე --- ---. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსამართლემ არ აიცილა საქმე;

- მოსამართლე --- --- საოქმო განჩინებით შეუცვალა შინაარსი --- --- 2018 წლის 16 იანვრის №10-16 დადგენილებას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 22 მარტს --- --- სასამართლოში გადაიგზავნა ადმინისტრაციული საქმე --- --- სარჩელის გამო, მოპასუხეების - --- ---, --- ---, --- ---, --- ---, --- ---, მესამე პირების - შპს --- --- -ის, --- ---, --- ---, --- ---, --- ---, --- ---, --- --- მიმართ, მოსარჩელის --- საჩივართან ერთად განსახილველად.

--- --- სასამართლოს --- --- 2017 წლის 03 აპრილის განჩინებით, --- --- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

--- --- სასამართლოს --- --- 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით, --- --- საჩივრის განსახილველად დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2017 წლის 22 მაისს.

აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომა გადაიდო 2017 წლის 26 ივნისს.

აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხდომა გადაიდო 2017 წლის 18 სექტემბერს. მორიგი სასამართლო სხდომები გაიმართა 18/09/2017, 27/11/2017 და 22/01/2018.

2018 წლის 12 მარტის სასამართლო სხდომაზე, --- --- წარმომადგენელმა იშუამდგომლა --- --- უფლებამონაცვლედ --- --- დადგენის თაობაზე. სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, მოსამართლემ მიიჩნია, რომ შუამდგომლობაზე იმსჯელებდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

2018 წლის 22 მარტს --- --- წარადგინა წერილობითი მოსაზრება --- --- 2018 წლის 12 მარტის შუამდგომლობის თაობაზე.

2018 წლის 30 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლე --- ---, ადგილზე თათბირით მიიღო საოქმო განჩინება და დააკმაყოფილა --- --- შუამდგომლობა.

საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა ჩატარდა 2018 წლის 14 მაისს.

--- --- სასამართლოს --- --- 2018 წლის 29 მაისის განჩინებით, --- --- საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2.2. მოსამართლე --- --- წარმოებაში არსებული და დამთავრებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები:
- 2017 წელი - სულ წარმოებაში მიიღო 411 საქმე და დაასრულა 284 (69%);
- 2018 წელი (08 თვე) - სულ წარმოებაში მიიღო 278 საქმე და დაასრულა 195 (70%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

--- --- 2018 წლის 07 მაისის №--- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე --- --- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით“, ხოლო ,,ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამ ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვ.) გამო ვერ შეძლო“.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[1].

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადის გონივრულობა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany; §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების საქმის განხილვის ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი (01 წელი 02 თვე 07 დღე), საქმის სირთულე, საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, თუმცა მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩადენისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

განსახილველ შემთხვევაში მოსამართლისა და მხარეთა მოქმედებები, მოსამართლის დატვირთვა და

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

საქმის სირთულე, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, არ ქმნის საკმარის საფუძველს საქმის განხილვის ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევად შესაფასებლად.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მხრიდან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ისე, რომ შუამდგომლობა დაყენებული არ ყოფილა წერილობითი სახით, რასაც საპროცესო კანონმდებლობა სავალდებულო წესით არ ითვალისწინებს.

აგრეთვე, ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად მოსამართლის მხრიდან შუამდგომლობის განხილვა ზეპირ სხდომაზე, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა წინა სხდომებზე მსგავსი სახის მინიშნება გაკეთებული მოსამართლის მხრიდან, ასევე მხარის მოთხოვნის საფუძველზე სხდომის გადადება, რაც თავისთავად რაიმე ფორმით მხარის ან/და საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს გამორიცხავს არათუ შედეგის დადგომას.

საქმის მასალების დეტალური შესწავლის შედეგად, აგრეთვე არ დადასტურდა მოსამართლე --- --- მხრიდან წარსულში განხილული საქმის განმეორებით განხილვის ფაქტი, რისი დამადასტურებელი რაიმე სახის მტიცებულებაც არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

ასევე უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ --- --- სამართლებრივი აქტისათვის შინაარსის შეცვლის თაობაზე, ამასთან, რაც შეეხება მოსამართლის მიერ ნორმის განმარტების საკითხს, აღნიშნული წარმოადგენს კანონიერების სფეროს და დისციპლინური კუთხით მსჯელობის საგანი ვერ გახდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ და „ვ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 26 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე --- --- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №127/18 მოსამართლე --- --- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი